28/11/2020

მარხვის დაწყების წინ, პატრიარქი სასულიერო პირებსა და მრევლს მიმართავს

28 ნოემბერს მართლმადიდებელი მორწმუნეებისთვის შობის მარხვა იწყება, რომელიც 7 იანვარს, მაცხოვრის შობის დრესასწაულზე დასრულდება.

ამასთან დაკავშირებით, დრეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სასულიერო პირებსა და მრევლს მიმართა:
“28 ნოემბერს, იწყება საშობაო მარხვა, რომელიც 7 იანვრამდე გასტანს.
ამ მარხვაში 25 დეკემბრის ჩათლით დაშვებულია თევზი (ოთხშაბათის და პარასკევის გარდა).
ეპიდემიის მიზეზით შექმნილი ვითარების გამო, სასულიერო პირებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, იკონომიის წესით, საჭიროებისამებრ, მისცენ ნება მორწმუნეთ რძის ნაწარმის გამოყენებისა და არ შეუქმნან მათ დაბრკოლება წმ.ზიარების მისაღებად.
ასევე ვთხოვთ მრევლს, გააძლიერონ ლოცვა და, ყოველდღიური ლოცვების გარდა, დამატებით წაიკითხონ მე-3, 26-ე, 102-ე და 145-ე ფსალმუნები.
ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.
მარხვა სინანულისა და შობა სიხარულისა გაგვითენოს უფალმა, ამინ!” – ნათქვამია

პატრიარქის მიმართვაში.

— dogma.ge